<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2018 წელი

„ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის №115 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა: „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის №115 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს დანართი (რუკა).

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X=477999 Y=4611824
X=477942 Y=4611681
II ჩიხი
X=478047 Y=4611640
X=477917 Y=4611622
I ჩიხი
X=478000 Y=4611589
ირაკლეს ანანიაშვილის ქ.
X=477859 Y=4611480
1:2,500

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-0318269120**
თარიღი: **26/09/2018**
პინი: **2192**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს

ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

ბატონო ალექსანდრე,

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 4 მაისს N115 განკარგულებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე განახორციელა ტაბახმელაში არსებული უსახელო ქუჩისთვის მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭება.

საქმისწარმოების პროცესში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურიდან 2018 წლის 9 მარტს გამოთხოვილი იქნა ქუჩის განვითარების სიტუაციური ნახაზი (წერილი N 07-0118068162).

მასალების დამუშავების პერიოდისთვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებში გზას არ კვეთდა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. ხსენებულ საკითხზე კომისიის სხდომა ჩატარდა მ/წლის 23 აპრილს, რის შემდგომაც განხორციელდა ქუჩის სახელდება.

მოგვიანებით გაირკვა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 18 იანვრის Nდ-525 მოწმობის საფუძველზე ბ.მ. ამხანაგობა "ატრიუმ"-ის სასარგებლოდ გაცემული იყო საკუთრების უფლება, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვის თანადროულად (2018 წლის 24 აპრილი).

ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილების მუხლი 2-ის თანახმად სახელდება დაუშვებელია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, დღის წესრიგში დგას ზემოთ მოყვანილი ფაქტების საფუძვლით გამოწვეული

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-0118288699**
თარიღი: **15/10/2018**
პინი: **7841**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 26.09.2018 წლის #03-0318269120 (26.09.2018წ. #14-01182693472-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი).

პატივისცემით,

ალექსანდრე ტოგონიძე

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური-
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სამართლებრივი შეუსაბამობის გამოსწორების აუცილებლობა.

გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და წარმოგვიდგინოთ ქუჩის განვითარების ახალი სიტუაციური ნახაზი ჩვენს მიერ მოწოდებული დანართი 1-ის შესაბამისად, რათა ქუჩის სახელდების აქტში შევიდეს ცვლილება და გაუქმდეს სახელდება იმ ნაწილში, რომელიც დღეის მდგომარეობით კერძო საკუთრებას წარმოადგენს.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი